#467 2014 წლის 3 დეკემბერი ქ. თბილისი

„ევროკავშირს (გრანტის გამცემი), საქართველოსა (გრანტის მიმღები) და საქართველოს ეროვნულ ბანკს (გრანტის მიმღების ფინანსური აგენტი) შორის მაკრო-ფინანსური დახმარება (MFA) საქართველოსთვის საგრანტო ხელშეკრულების“ დადების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხმობის მიცემის შესახებ

1. მიეცეს თანხმობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომ საქართველოს სახელით დადოს „ევროკავშირს, (გრანტის გამცემი), საქართველოსა (გრანტის მიმღები) და საქართველოს ეროვნულ ბანკს (გრანტის მიმღების ფინანსური აგენტი) შორის მაკრო-ფინანსური დახმარება (MFA) საქართველოსთვის საგრანტო ხელშეკრულება“.

2. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტის მიმღებ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**